პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 121 (7682)
26 ივნისი,
შაბათი,
1984 წ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 3 კაპ.

გვიმრავლოს!



მაია აზარაშვილი



ბესიკ გოცირიძე

საქართველოს რეკორდები კიევში

ოლეგ სტრიჟაკოვი

სულ რამდენიმე დღის წინათ ჩვენი გაზეთის მკითხველებს მოვუთხრობდით სამი მძლეოსნის — სამი ახალგაზრდა ათლეტის შესახებ. ისინი კიევის საკავშირო ტურნირისთვის ემზადებოდნენ. ალბათ არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ ეს ტურნირი მნიშვნელობით უტოლდება და აღემატება კიდეც ქვეყნის ჩემპიონატს. საქმე ის არის, რომ კიევის ტურნირი გათვალისწინებული იყო საბჭოთა კავშირის ოლიმპიური ნაკრების შესადგენად. მართალია, ჩვენი ქვეყანა ოლიმპიადაში ვერ მიიღებს მონაწილეობას, მაგრამ ნაკრები მაინც დაკომპლექტდება და იასპარეზებს კიდეც სხვადასხვა საერთაშორისო შეჯიბრებებში.

მით უფრო სასიხარულოა, რომ სწორედ ასეთ წარმომადგენლობით და მნიშვნელოვან ტურნირში ისახელა თავი ჩვენი რესპუბლიკის სამივე წარმომადგენელმა — **მაია აზარაშვილმა, ბესიკ გოცირიძემ** და **ოლეგ სტრიჟაკოვმა** მშვენიერი შედეგები აჩვენეს და მძლეოსნობაში საკმაოდ ხანგრძლივი, სერიოზული კრიზისის შემდეგ, როგორც იქნა, მიუახლოვდნენ საკავშირო თუ საერთაშორისო სტანდარტებს. ამას გარდა, სამივეს შედეგი საქართველოს ახალი რეკორდია!

მაია აზარაშვილი 200 მეტრზე ფინალურ გარბენში მეორე იყო ოლიმპიური ჩემპიონის, ლენინგრადელი ნატალია ბოჩინას შემდეგ (22,63).

უძლიერესთა გარბენში 5000 მეტრზე ფინიშთან მეოთხე მივიდა რესპუბლიკისათვის ჩინებული შედეგით (13,30,8) ოლეგ სტრიჟაკოვი.

ბესიკ გოცირიძემ წინასწარ გარბენში 20,97 აჩვენა 200 მ დისტანციაზე, ფინალში კი მეხუთე იყო —21,11.

რა თქმა უნდა, ეს წარმატებები სულაც არ გვაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ ქართულ მძლეოსნობას საბოლოოდ ეშველა, მაგრამ საიმისო სურვილი კი ნამდვილად არის, რომ ეს ჯერჯერობით სასიხარულო გამარჯვებები სპორტის ამ ულამაზეს სახეობაში ყინულის გალღობად მივიჩნიოთ.

ძლიერესთა ტურნირში გამარჯვებული

იურმალაში, სადაც ქვეყნის უძლიერეს ჩოგბურთელთა ასპარეზობა ჩატარდა, თავი ისახელა ახალგაზრდა თბილისელმა სპორტსმენმა **ლეილა მესხმა.** მან დაამარცხა მოსკოველი იულია სალნიკოვა ანგარიშით 6:4, 6:3.

ქალთა წყვილებში პირველნი იყვნენ მოსკოველები ტატიანა საფონოვა და ოლგა ზაიცევა.

ვაჟებში ყველას აჯობა კალინინგრადელმა ალექსანდრე ვოლკოვმა, რომელმაც ფინალში აჯობა რიგელ ალვის ზილგალვისს — 6:4, 6:1. ზილგალვისმა თანაქალაქელ მარის როზენტალსთან ერთად ყველა მეტოქე ჩამოიტოვა ვაჟთა წყვილების ტურნირში, მერე კი მოსკოველ ოქსანა ლიფანოვასთან ერთად შერეულ წყვილთა ტურნირშიც გაიმარჯვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეილა მესხი.

საბჭოთა კავშირი და „დანარჩენი მსოფლიო"

24 ივნისს ლონდონში დაიწყო სსრ კავშირისა და „დანარჩენი მსოფლიოს" მოჭადრაკეთა გუნდების ამხანაგური მატჩი. თითოეულ გუნდში 10 მოჭადრაკეა. ისინი ოთხ-ოთხჯერ შეხვდებიან ერთმანეთს.

I ტურის ანგარიშია 3,5:2,5 „დანარჩენი მსოფლიოს" ნაკრების სასარგებლოდ. ოთხი პარტია გადაიდო. ა. სოკოლოვი დამარცხდა ე. ტორესთან (ფილიპინები) შეხვედრაში. ყაიმით დამთავრდა გ. კასპაროვ — ი. ტიმანის (ჰოლანდია), ლ. პოლუგაევსკი — ვ. კორჩნოის (შვეიცარია), რ. ვაჰანიან — ზ. რიბლის (უნგრეთი), მ. ტალ — ჯ. ნანის (ინგლისი) და ა. იუსუპოვ — ი. მაილსის (ინგლისი) შეხვედრები. გადაიდო ა. კარპოვ — უ. ანდერსონის (შვეცია), ვ. სმისლოვ— ლ. ლიუბოევიჩის (იუგოსლავია), ა. ბელიავსკი — ი. სეირავანის (აშშ) და ი. რაზუვაევ — რ. ჰიუბნერის (გფრ) პარტიები. ეს პარტიები დღეს დამთავრდება.

რეკორდები: საკავშირო და მსოფლიო

სამი მსოფლიო და საბჭოთა კავშირის ოთხი რეკორდი დაამყარეს კიევში საკავშირო შეჯიბრებაზე მოასპარეზე ჩვენი ქვეყნის უძლიერესმა მძლეოსნებმა. გარდა ამისა, ბევრ სახეობაში საერთაშორისო კლასის შედეგები აჩვენეს. ლენინგრადელი მარგარიტა პონომარიოვას მიერ დამყარებულ მსოფლიო რეკორდზე უკვე ვწერდით. როსტოველმა ტამარა ბიკოვამ კვლავ დაადასტურა, რომ სიმაღლეზე მხტომელ ქალთა შორის დღესდღეობით მსოფლიოში უძლიერესად ითვლება. მომავალი ჟურნალისტი 205 სმ სიმაღლეს გადაევლო და თავისი ძველი მსოფლიო რეკორდი სანტიმეტრით ასწია. 10000 მეტრზე რბენაში მსოფლიო რეკორდსმენის სახელი მოიხვეჭა ვოლგოგრადელმა ოლგა ბონდარენკომ. მან დისტანციის დაფარვას 31. 13,78 მოანდომა და თითქმის 14 წამით გააუმჯობესა ძველი რეკორდი, რომელიც ასევე საბჭოთა სპორტსმენს, ულიანოვსკელ

(დასასრული მე-4 გვ.).

ტამარა ბიკოვა

რესპუბლიკის ჩემპიონი

ზურაბ სტურუა.
ჭადრაკი

დაიბადა 8 ივნისს 1959 წელს თბილისში. მეოთხედ გახდა საქართველოს ჩემპიონი ჭადრაკში. პირველად ეს ტიტული მან 1975 წელს მოიპოვა, მეორედ — 1976, მესამედ კი 1981 წელს. 1982 წელს ტრნავას (ჩეხოსლოვაკია) და ერევნის საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვების შემდეგ ზურაბს საერთაშორისო ოსტატის წოდება მიენიჭა. სპორტის ოსტატი კი 1976 წელს გახდა. როგორც საქართველოს გუნდის წევრი, იგი წარმატებით გამოვიდა საბჭოთა კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადაზე. შარშან ზურაბმა I-II ადგილები გაიყო გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისადმი მიძღვნილ საკავშირო ტურნირში. სტურუა არმიის სპორტული კლუბის წევრია.

მეოთხედ

გუშინ თბილისში, ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა 44-ე ჩემპიონატი (უმაღლესი ლიგა). ჩემპიონის ტიტული ეს უკვე მეოთხედ მოიპოვა საერთაშორისო ოსტატმა ზურაბ სტურუამ.

ფინიში ასეთი იყო. დასკვნითი ორი ტურის წინ ჩემპიონის სახელის მთავარი პრეტენდენტები იყვნენ სტურუა, ზაიჩიკი და ეფიმოვი. ბოლოსწინა, XIV ტურში სტურუამ დაამარცხა გედევანიშვილი, ზაიჩიკმა — ბიბილაშვილი, ხოლო ეფიმოვმა წააგო ნინო გურიელთან. დანარჩენ პარტიებში ბაბახანოვმა მოუგო მიქაელიანს, ბალათუროვმა — მაჭარაშვილს. ყაიმზე შეთანხმდნენ გიორგაძე — ჩაჩიბაია და ტყებუჩავა — ჩიქოვანი. მეორე დღეს, გადადებული პარტიების დამთავრებისას, ეფიმოვმა მოუგო ჩიქოვანს და დაუზავდა ტყებუჩავას. ბიბილაშვილი დამარცხდა ბალათუროვთან, გიორგაძემ გაიმარჯვა მიქაელიანთან. ბოლო, XV ტურში სტურუამ კვლავ მოიგო, ამჯერად გიორგაძესთან და მეტოქეთათვის მიუწვდომელი გახდა. ამ დღეს კიდევ ორი პარტია დამთავრდა: ჩაჩიბაიამ მოუგო ბაბახანოვს, ხეცურიანი — ბიბილაშვილი ყაიმზე შეთანხმდნენ. გადადებული პარტიების დამთავრებისას მაჭარაშვილმა მოუგო ჩიქოვანს, ყაიმზე შეთანხმდნენ ზაიჩიკი — ბალათუროვი, ტყებუჩავა — გურიელი და ეფიმოვი — გედევანიშვილი.

ტურნირი დამთავრდა. აი, საბოლოო შედეგებიც: I. ზურაბ სტურუა — 11,5 ქულა, II. გენადი ზაიჩიკი — 10,5, III . იგორ ეფიმოვი — 9, IV. გია ბალათუროვი — 8,5, V-VIII. ნინო გურიელი, კარენ ბაბახანოვი, დავით ჩაჩიბაია, გრიგოლ ბიბილაშვილი (რუსთავი) — 7-7, IX-X. დიმიტრი გედევანიშვილი, გია გიორგაძე — 6,5-6,5, XI. იური ჩიქოვანი — 6, XII. გოჩა ტყებუჩავა (ცხაკაია) — 5,5, XIII. ბესიკ ხეცურიანი — 5, XIV-XV. გიორგი მაჭარაშვილი, ემილ მიქაელიანი — 4-4.

საღამოს თბილისის ჭადრაკის სასახლეში მოეწყო ჩემპიონატის საზეიმო დახურვა. რესპუბლიკის ჩემპიონს ზურაბ სტურუას გადაეცა ოქროს მედალი, პირველი ხარისხის დიპლომი და სამახსოვრო საჩუქარი. ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები, აგრეთვე სათანადო დიპლომები მიიღეს გენადი ზაიჩიკმა და იგორ ეფიმოვმა. გამოცხადდა, რომ სტურუა და ზაიჩიკი მიწვეული არიან სსრ კავშირის ვაჟთა 52-ე ჩემპიონატის ნახევარფინალში.

ინფორმაცია

პონომარიოვის მსოფლიო მიღწევა

საფრანგეთის ქალაქ მონბელიარში, სადაც ტარდება მასპინძელი ქვეყნისა და სსრ კავშირის გუნდების მატჩი წყალსათხილამურო სპორტში, სტუმართა გუნდის წევრმა ნატალია პონომარიოვამ მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 7850 ქულა. ძველი მიღწევა (7790 ქულა) ეკუთვნოდა ანე კარასკოს (ვენესუელა).

კვლავ ვიქტორ კროვოპუსკოვი

ოთხგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ხმლით ფარიკაობაში, მოსკოველმა ვიქტორ კროვოპუსკოვმა გაიმარჯვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში, რომელიც ესტონეთის დედაქალაქ ტალინში ტარდება. ფინალში მან დაამარცხა თანაქალაქელი ანდრეი ალშანი.

ხარკოველმა მიხეილ ტიშკომ ყველას აჯობა დაშნით ასპარეზობაში. ხმლითა და დაშნით მოფარიკავეთა შორის გუნდურ ჩათვლაში I ადგილი არმიელ სპორტსმენებს ხვდათ.

ტიმ სევერინი: დიახ!

„ლელოს" მკითხველებმა უკვე იციან, რომ მიმდინარე წლის 8 მაისს საბერძნეთის ქალაქ ვოლოსიდან — ანტიკური იოლკიდან, საიდანაც არგონავტებმა კოლხეთისაკენ აიღეს კურსი, საქართველოსკენ გამოეშურა ოცნიჩბიანი ძველბერძნული გალერა „არგო". ექსპედიცია, რომელსაც ტიმ სევერინი ხელმძღვანელობს, არგონავტების ისტორიულ გზას გაივლის და ივლისის შუა რიცხვებში „არგო" საქართველოს სანაპიროებს მოადგება. ეს ტიმ სევერინის მესამე ექსპედიციაა.

ყოველწლიურად ათეულობით კაცი გადის ღია ზღვაში პატარა ხომალდებით. გადიან მარტოდმარტო თუ მცირერიცხოვანი ეკიპაჟების შემადგენლობაში. გადიან იახტებით, გასაბერი ნავებით, ტივებით, კატამარანებით, ჯონკებით, ფელუკებით... მამაცი ზღვაოსნები სერავენ ზღვებსა და ოკეანეებს, გარს უვლიან დედამიწას, წარმატებით წყვეტენ სპორტულ, სამეცნიერო თუ სანავიგაციო ამოცანებს, ატარებენ სამედიცინო-ბიოლოგიურ თუ ისტორიულ-გეოგრაფიულ ექსპერიმენტებს.

ისტორიულ-გეოგრაფიულ ექსპერიმენტულ ზღვაოსნობას ცნობილმა ნორვეგიელმა მეცნიერმა და მოგზაურმა ტურ ჰეიერდალმა ჩაუყარა საფუძველი თავისი „კონ-ტიკით". დღეს მას არაერთი მიმდევარი ჰყავს, რომელთა შორის გამოირჩევა ირლანდიელი ისტორიკოსი და ზღვაოსანი ტიმ სევერინი.

ისტორიულ-გეოგრაფიული და სამეცნიერო-ეთნოგრაფიული ნაოსნობა უძველესი ლეგენდებიდან თუ ქრონიკებიდან იწყება. ასეთი სახის მოგზაურობები თავდაპირველად ავანტიურისტულად იყო მიჩნეული რესპექტაბელურ მეცნიერთა მიერ, მაგრამ მერე და მერე ჰიპოთეზის დამტკიცების ამ მეთოდმა დიდი პოპულარობა მოიხვეჭა და ესეც, პირველ ყოვლისა, ტურ ჰეიერდალის დამსახურებაა. ჰეიერდალის ავტორიტეტი იმდენად დიდია, რომ სამეცნიერო-ექსპერიმენტული ექსპედიციების „მეფის" ტიტულს მას ალბათ ვერავინ შეეცილება, მაგრამ, თუ ვინმეს საერთოდ შეუძლია ჰეიერდალს ამ მხრივ მეტოქეობა გაუწიოს, ეს სწორედ ტიმ სევერინია. სევერინის სახელი სულ უფრო პოპულარული ხდება მთელ მსოფლიოში, მისი კვლევის მეცნიერული შედეგები სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს მოგზაურობათა და გეოგრაფიულ აღმოჩენათა ისტორიის სპეციალისტებისათვის, მისი დოკუმენტური ფილმები დიდი წარმატებით სარგებლობს საერთაშორისო კინოფესტივალებსა და კონკურსებზე, სევერინის წიგნები თარგმნილია მსოფლიოს მრავალ ენაზე, მათ დაიმსახურეს თომას კუკის პრიზი მოგზაურობაზე დაწერილი საუკეთესო წიგნისათვის და პირველი პრემია საუკეთესო წიგნისათვის ზღვის შესახებ.

ტიმ სევერინი ირლანდიელია. ირლანდიაშივე ცხოვრობს, კორკის საგრაფოში. სწავლობდა ოქსფორდში, ბერკლისა და მინესოტის უნივერსიტეტებში, ჰარვარდში. მედიევისტიკის დარგში მნიშვნელოვანი გამოკვლევებისათვის მინიჭებული აქვს ოქსფორდის უნივერსიტეტის სამეცნიერო ხარისხი. თავისი მეცნიერული ცხოვრების მიზნად ტიმ სევერინმა დაისახა ისტორიის რეკონსტრუქციის, წარსულის მოდელირების გზით რიგი ისტორიულ-გეოგრაფიული, ფილოლოგიურ-გეოგრაფიული და საზღვაო-საინჟინრო პრობლემების გადაწყვეტა. ტურ ჰეიერდალისა არ იყოს, სევერინი აღადგენს მარშრუტს, სიტუაციას, აღადგენს ნაოსნობას, რომელიც ამა თუ იმ ეპოქაში განუხორციელებიათ და რომელმაც ასახვა ჰპოვა მითოლოგიასა თუ ლიტერატურაში; ამასთანავე იგი აღადგენს იმ ეპოქის ხომალდსაც, როგორც ეს იყო „ბრენდანისა" და „სოჰარის", როგორც ეს არის „არგოს" ექსპედიციის შემთხვევაში. თუმცა, მივყვეთ თანმიმდევრობით.

თვითონვე ვუსვამ ჩემს თავს კითხვას, რომელსაც, ვიცი, მომავალში არაერთხელ დამისვამენ: „როცა უკვე იცით, რა სიძნელეები და სირთულეები გელით, კიდევ წახვიდოდით თუ არა მსგავს ნაოსნობაში?" თუ იგი გაგვამდიდრებს ცოდნით, თუ საშუალებას მოგვცემს უკეთ შევიცნოთ წარსული და თუ თავიდან ბოლომდე ჩვენი მეგზური ასეთივე ენთუზიაზმი, ასეთივე მხარდაჭერა იქნება, ჩემი პასუხი ასეთია: დიახ!

ექსპედიცია პირველი: „ბრენდანი"

ოთხი წლის იდა სევერინმა წკრიალა ხმით წარმოთქვა — „ამ ნავს „ბრენდანს" ვარქმევ!" და მერე ლენტი გადაჭრა. ბოთლი ზრიალით შეემსხვრა „ბრენდანის" ლუზას და ირგვლივ ირლანდიური ვისკის ბუნი დატრიალდა. წმინდა ბრენდანის სულიერმა შთამომავალმა — კერის საგრაფოს ეპისკოპოსმა ეიმონ კეისიმ თითებით ჰაერში ჯვარი გამოსახა და ნავი აკურთხა.

ყველაფერი ირლანდიის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე პატარა დაბა კორტმაკშერიში დაიწყო, სადაც ტიმ სევერინი თავის ოჯახთან ერთად შვებულებას ატარებდა. ერთ საღამოს, ვახშმობისას, დოროთიმ — სევერინის მეუღლემ სიტყვა ლათინურ ტექსტებზე ჩამოაგდო და სხვათა შორის თქვა, რომ, მისი აზრით, ტექსტი წმინდა ბრენდანის შესახებ მეტად უჩვეულო იყო; მოსალოდნელი სასწაულების ნაცვლად მასში ჭარბობდა გეოგრაფიული თუ საზღვაო რეალიები, რითაც იგი ლეგენდას კი არა, უფრო დოკუმენტურ მოთხრობას ემსგავსებოდა.

მოგვიანებით ტიმ სევერინი თავის წიგნში „მოგზაურობა „ბრენდანით" დაწერს:

„ჩემი მეუღლის კრიტიკული მსჯელობა ყურადღებას იმსახურებდა. იგი შუა საუკუნეების ესპანური ლიტერატურის სპეციალისტია და კარგად ერკვევა საერთოდ შუა საუკუნეების ტექსტებში. სხვათა შორის, ჩვენ ერთმანეთი ჰარვარდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში გავიცანით, სადაც იგი მასალებს აგროვებდა დისერტაციისათვის, მე კი გეოგრაფიულ აღმოჩენათა ისტორიას ვსწავლობდი. და სწორედ მაშინ,—ჯერ კიდევ სტუდენტები, ჩვენ სხვადასხვა გზით მივედით მოთხრობამდე წმინდა ბრენდანის შესახებ... ჩემს მეუღლეს ეს მოთხრობა უჩვეულო ეჩვენა ლიტერატურულ პლანში, მე კი იგი ასევე უჩვეულოდ წარმომიდგა გეოგრაფიულ აღმოჩენათა ისტორიის თვალსაზრისით. აქვე დავუმატებ ერთ მნიშვნელოვან თანხვედრას: მე და ჩემი მეუღლე ერთად ვცურავდით ჩვენი პატარა იახტით „პრესტერ ჯონ", თურქეთშიც კი ვიყავით და მოგზაურობაში სამი წლის გოგონა — იდაც გვახლდა. ამიტომ ვიცოდით, რომ თეორიულად სავსებით შესაძლებელი იყო, წმინდა ბრენდანს პატარა ნავით ამერიკამდე მიეღწია და უკანაც დაბრუნებულიყო".

წმინდა ბრენდანი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ირლანდიელი წმინდანი იყო და დიდი გავლენა მოახდინა კელტურ ეკლესიაზე. დაბადებული უნდა იყოს დაახლოებით 489 წელს კერის საგრაფოში, ირლანდიის დასავლეთში. ბრენდანი ბევრს მოგზაურობდა, უმეტესად—ზღვით, რადგან იმ ადგილებს, სადაც იგი ისტორიული წყაროების თანახმად მოღვაწეობდა, სხვაგვარად ვერ მიაღწევდა. მაგალითად, წმინდა ბრენდანს ვხვდებით შოტლანდიის დასავლეთით მდებარე კუნძულ აიონაზე, სადაც მან აბატი კოლამბუსი ინახულა — პირველი მონასტრის დამაარსებელი ბრიტანეთის წარმართულ ჩრდილოეთში (სხვათა შორის, სწორედ კოლამბუსს მიეწერება აიონაზე ქვის ჯვრის — წმინდა მარტინის ჯვრის — აღმართვა, რომლის გამოსახულებამ სევერინის „ბრენდანის" აფრები და დროშა დაამშვენა). ერთი სიტყვით, აბატი ბრენდანი მეზღვაური წმინდანია. შემთხვევითი არ არის, რომ იგი ცნობილია აგრეთვე, როგორც ბრენდან ზღვაოსანი. აქედან გამომდინარე, ისტორიულ და დოკუმენტურ ღირებულებას იძენს ლათინური ტექსტი „ნავიგაციო სანკტი ბრენდანი, აბბატის" („ნაოსნობა წმინდა ბრენდანისა, აბატისა"), რომელიც ამოსავალ წერტილად იქცა ტიმ სევერენისათვის.

„ტექსტებში მოთხრობილია, რომ წმინდა ბრენდანმა სხვა ბერებთან ერთად იმოგზაურა ოკეანისგაღმა ქვეყანაში ხარის ტყავისაგან დამზადებული ნავით. თუ ეს მართალია, მაშინ ბრენდანს ამერიკისათვის მიუღწევია ათასი წლით ადრე კოლუმბამდე და ოთხასი წლით ადრე ნორმანებამდე. სკეპტიკოსებს ეს ყველაფერი სისულელედ მიაჩნდათ. იმის დაშვება, რომ ვინმემ ატლანტის ოკეანე ტყავის ნავით გადაცურა, ფანტასტიკაა, ბოდვაა, აბსურდია, თავად მასალა გამორიცხავს ამის შესაძლებლობას. მაგრამ ლათინური ტექსტები დაბეჯითებით ამტკიცებდნენ, რომ ნავი ტყავისა იყო, აღწერდნენ კიდეც, სახელდობრ როგორ ააგეს წმინდა ბრენდანმა და მისმა თანამდგომებმა თავიანთი ნავი. ამ საოცარი ამბის შემოწმების უმარტივესი გზა იყო, აეგოთ ასეთივე ნავი და გვენახა, გადაცურავდა თუ არა იგი ატლანტიკას".

იმისათვის, რომ ძველირლანდიური ტყავის ნავის ზუსტი ასლი აეგო და აბატ ბრენდანის ნაოსნობა გაემეორებინა, ტიმ სევერინი რამდენიმე წლის განმავლობაში სწავლობდა ირლანდიურ მოგზაურობათა ისტორიას, ტყავის ნავების აგების ტექნოლოგიას, სწავლობდა ყოველივე ამასთან დაკავშირებულ უძველეს ტექსტებსა თუ გრაფიკულ გამოსახულებებს. სწორედ ლათინურ ტექსტებში აღწერილი მეთოდითა და მასალით ააგო ტიმ სევერინმა თერთმეტმეტრიანი ორანძიანი უკილო ნავი, რისთვისაც გამოიყენა მუხის ქერქის ექსტრაქტში საგულდაგულოდ გათრიმლული 49 ხარის ტყავი, ტყავისავე ღვედები, მუხის გული, სელი და ირლანდიური კოპიტის მერქანი.

„ბრენდანი" ააგეს ირლანდიაში, „კროსჰეივენის" გემსაშენში, სწორედ იქ, სადაც სერ ფრენსის ჩიჩესტერმა თავისი ცნობილი „ჯიპსი მოტ V" ააგო. საკარკასე ხე-ტყისათვის სევერინმა იმ კანტორას მიაკითხა, რომლის კონსულტაციითაც თავის დროზე ტურ ჰეიერდალმა „კონ-ტიკის" მასალა შეარჩია. „ბრენდანისათვის" საჭირო კოპიტი სევერინს უსასყიდლოდ დაუმზადა გლენონების ოჯახმა, რომელთა წინაპრები ჯერ კიდევ სამი საუკუნის წინათ ამუშავებდნენ ხე-ტყეს. ოჯახის უფროსმა პედი გლენონმა სამაგიეროდ ერთადერთი რამ სთხოვა სევერინს: თუ მათი ნავი მართლა გადალახავდა ოკეანეს, გლენონთა მიერ დამზადებული მერქნის პატარა ნაგლეჯი ჩამოეტანა უკან.

რაც შეეხება მოგზაურობის მარშრუტს, იგი თავისთავად გამოიკვეთა: გაბატონებული სამხრეთ-დასავლეთის ქარების დახმარებით ირლანდიიდან დაუბრკოლებლივ შეიძლება ჩრდილოეთით მდებარე ჰებრიდებამდე ანუ დასავლეთის კუნძულებამდე მისვლა; აქედან გვერდითი — დასავლეთის ქარით ისევ ჩრდილოეთით — ფარერის კუნძულებამდე; ფარერებიდან საკმაოდ რთული გზაა ისლანდიამდე, სამაგიეროდ შემდეგ დინება და ქარი ხელს უწყობს ცურვას სამხრეთ გრენლანდიისა და ნიუფაუნდლენდისაკენ ლაბრადორის ნაპირების გასწვრივ. რუკაზე ეს გზა შემოვლითი ჩანს, რაც ბრტყელი პროექციის ბრალია. სინამდვილეში ასეთი მარშრუტი ფაქტიურად უმოკლესი გზაა ჩრდილოეთ ევროპიდან ჩრდილოეთ ამერიკისაკენ. იგი ცნობილია, როგორც „საფეხუროვანი მარშრუტი", რომლითაც სარგებლობდნენ პირველი ავიატორები, მათზე ბევრად ადრე — ნორმანები და კიდევ უფრო ადრე, როგორც სევერინის ექსპედიციამ დაადასტურა— ირლანდიელებიც. მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ არათუ ტყავის ნავით, ამ გზის გავლა თანამედროვე გემებითაც კი ერთობ ძნელია და ამიტომ სევერინის წამოწყება ბევრს ჯგუფური თვითმკვლელობის დახვეწილ, გმირულ ფორმად მიაჩნდა.

ამასთან დაკავშირებით ტიმ სევერინი წერს:

„ჩვენი მომავალი ნაოსნობა ორი მნიშვნელოვანი თვალსაზრისით განსხვავდებოდა ძველებური ხომალდებით განხორციელებული ბევრი წინა მოგზაურობისაგან. ჯერ ერთი, ჩვენ გავდივართ ზღვაში არა ტივით, არამედ ნამდვილი ნავით. „ბრენდანი" არ არის უბრალო პლატფორმა, რომელსაც, თუ გაგვიმართლა, ქარი და დინება თვითონ მიიყვანენ მიზნამდე. ჩვენი ნავი რომ გადარჩეს, საჭიროა მისი ოსტატურად მართვა და უმჯობესია — შეცდომების გარეშე... მეორეც, და ეს უფრო მნიშვნელოვანია, ჩვენი მარშრუტი გადის ცივ განედებზე, სადაც თანამედროვე იახტებითაც კი ვერ ბედავენ შესვლას. სულ სხვაა საბანაო ტრუსებში მზისგულზე ჯდომა და სულ სხვაა პატარა, ღია ნავით ცურვა სუბარქტიკულ პირობებში. სამხედრო მეზღვაურებმა, რომლებმაც ინსტრუქტაჟი ჩაგვიტარეს, გვითხრეს, რომ თუ რომელიმე თქვენგანი, არასწორად ჩაცმული, ბორტს მიღმა აღმოჩნდება, ხუთ წუთსაც ვერ გაძლებსო".

ჯერ კიდევ მოსამზადებელი სამუშაოების დროს ნელ-ნელა შეიკრიბა ეკიპაჟი, რომლის წევრებსაც სევერინი იმ ხალხისაგან არჩევდა, ვინც მას ნავის აგებაში ეხმარებოდა.

ჯორჯ მოლონი — საუკეთესო იახტსმენი, რომელიც სამხედრო სამსახურის შემდეგ ახლო აღმოსავლეთში რომელიღაც შეიხის ჯარისკაცებს წვრთნიდა და რომელიც თავის დროზე გამოეხმაურა ტიმ სევერინის მიერ აფროსანთა ერთ-ერთ ჟურნალში გამოქვეყნებულ განცხადებას, რის შედეგადაც სევერინებთან ერთად იმოგზაურა „პრესტერ ჯონით" ხმელთაშუა ზღვაში.

23 წლის არტურ მეიგენი ეკიპაჟის ყველაზე ახალგაზრდა და ყველაზე ღონიერი წევრი იყო. იგი ჯორჯის ძმასთან ერთად სწავლობდა სკოლაში და ტიმ სევერინის მისამართი მისიმ [illegible] მისთვის. არტურმა ჯერ წერილი მისწერა ტიმს, თუმცა ისიც დაუმატა, მიწერ-მოწერაში არაფერი ჰყრიაო და მზად ვარ, თუ ისურვებ ნებისმიერ დროს ჩამოვიდეო. სევერინმა ისურვა და მეიგენი თავისი 45 ნომერი ჩექმებით ჩაბლაყუნდა გემთსაშენში. არტურს ჩექმა შეარქვეს.

პიტერ მალიტი — ლონდონელი ფოტოჟურნალისტი. საოცრად ენამახვილი კაცი, რომელსაც მოჰბეზრდა ქალაქური ცხოვრება და თავის მომხიბვლელ მეუღლესთან — ყოფილ მანეკენ ჯილთან ერთად დასავლეთ ირლანდიაში დასახლდა.

ნორვეგიელი როლფ ჰანსენი საგანგებოდ ჩამოვიდა ბრანდონ-კრიკში, სადაც „ბრენდენი" შენდებოდა, და სევერინს თავისი სამსახური შესთავაზა. ფიზიკური ძალით ჰანსენი მხოლოდ არტურს ჩამოუვარდებოდა. იგი მეტისმეტად სიტყვაძუნწი იყო, ნაწილობრივ იმიტომ, რომ ცუდად ლაპარაკობდა ინგლისურად, ნაწილობრივ კი იმიტომ, რომ მეტისმეტად სერიოზულად ეკიდებოდა საზღვაო საქმეს.

სევერინმა ეკიპაჟის წევრებს სხვადასხვა ფერის საშტორმო კოსტიუმები დაურიგა, რათა ერთმანეთში არ არეოდათ. ჯორჯს ნარინჯისფერი შეხვდა, არტურს — მწვანე, პიტერს — წითელი, როლფს კი — ცისფერი. თავისთვის ტიმმა ყვითელი საიერიშო კოსტიუმი დაიტოვა.

სევერინმა სტარტი 1976 წლის 16 მაისს — წმინდა ბრენდანის დღეს დანიშნა, მაგრამ იმ დღეს ბრანდონ-კრიკში შტორმი იყო და „ბრენდანი" მხოლოდ 17 მაისს შეაცურეს ზღვაში. გაცილების ცერემონიალს საზეიმო ელფერს აძლევდა ეკიპაჟის წევრთა ჭრელი სამოსი და დროშათა უფრო ჭრელი რიგი გროტ-ანძაზე. სულ ზემოთ ირლანდიის სამფეროვანი დროშა ფრიალებდა, შემდეგ — გაერთიანებული სამეფოს დროშა ჩრდილოეთ ირლანდიისათვის (როგორც ცნობილია, ანძაზე იმ ქვეყნის დროშა უნდა ფრიალებდეს, რომლის ტერიტორიულ წყლებსაც გადის ხომალდი); დიდი ბრიტანეთის დროშას ანდრიას ჯვარი მოსდევდა შოტლანდიისათვის, შემდეგ იყო ფარერების დროშა, ისლანდიის დროშა, დანიის დროშა გრენლანდიისათვის, კანადური ნეკერჩხლის ფოთოლი და ბოლოს ამერიკული ზოლები და ვარსკვლავები. ეს — გროტ-ანძაზე, ფოკ-ანძაზე კი „ბრენდანის" საკუთარი ვიმპელი ფრიალებდა — ბოლოში ორად გაყოფილი თეთრი დროშა ზედ გამოსახული წითელი ჯვრით წითელ შარავანდში.

— რას ფიქრობთ იმის თაობაზე, რომ თქვენი ქმარი ამ პაწაწა ნავით აპირებს ატლანტიკაში გასვლას? — ჰკითხა ერთმა რეპორტიორმა დოროთი სევერინს, სანამ „ბრენდანზე" აფრებს აღმართავდნენ.

— ტიმი მუდამ გატაცებული იყო მსგავსი ამბებით, — უპასუხა მან,— მეც შუა საუკუნეების სპეციალისტი ვარ და მივესალმები ყველაფერს, რაც ამდიდრებს მედიევისტიკას....

მერე „ბრენდანი" ნაპირს მოშორდა და დაბერილ აფრებზე კელტურ-ირლანდიური ჯვრები გამოიკვეთა. მამაცი ზღვაოსნების გასაცილებლად დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი ირლანდიის ამ პატარა სოფელში. ისევ ტიმ სევერინს მოვუსმინოთ:

„ორასამდე კაცი გაიქცა კონცხისაკენ, რათა კიდევ ერთხელ შეევლოთ თვალი „ბრენდანისათვის". ფანტასტიკური სურათი იყო, რადგან მზე დასავლეთისაკენ გადახრილიყო და ადამიანთა სილუეტები ჰორიზონტალურ სხივებში მუქ ბორდიურს ქმნიდა თხემზე... ყველას ერთი სწრაფვა ჰქონდა — მიეღწია კონცხის უკიდურესი წერტილისათვის, საიდანაც შესაძლებელი იქნებოდა დაენახა, როგორ დაპატარავდებოდა ნელ-ნელა ნავი და როგორ ჩაიკარგებოდა ოკეანის შორეთში... იმდენი ადამიანი გვეხმარებოდა, ვეუბნებოდი მე საკუთარ თავს, იმდენ ადამიანს სჯერა ჩვენი, რომ უფლება არა გვაქვს, გავაწბილოთ ისინი".

პაატა ნაცვლიშვილი.

(გაგრძელება იქნება).

ინფორმაცია

„ტყავის ბურთის" პრიზზე

ვანის რაიონში დამთავრდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლე ფეხბურთელთა შეჯიბრება „ტყავის ბურთის" პრიზზე. გათამაშებაში მონაწილეობდა რაიონის 8-წლიანი და საშუალო სკოლების 24 გუნდი.

ტურნირის ფინალური მატჩი გაიმართა რაიონული ცენტრის მთავარ სტადიონზე. ვანის ს. კიროვის სახელობის საშუალო სკოლის ფეხბურთელებმა ანგარიშით 4:0 დაამარცხეს სოფელ შუამთის სკოლის გუნდი.

ვანის კომკავშირის რაიკომმა დააწესა ჯილდოები საუკეთესო ფეხბურთელთათვის. ეს ჯილდოები გადაეცათ ვ. გიორგაძეს, შ. გოგაძეს, რ. კანკაძეს, ზ. ხურციძეს.

იორამ ნიკოლეიშვილი.

(ჩვენი კორ.).

თასი „დინამომ“ მოიპოვა

გასულ კვირას მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე შედგა ფეხბურთში სსრ კავშირის თასის 43-ე გათამაშების ფინალური მატჩი. საპატიო პრიზისათვის იბრძოდნენ მოსკოვის „დინამო“ და ლენინგრადის „ზენიტი“.

როგორც ყოველთვის, ფინალში დაძაბული ბრძოლა გაიმართა, თუმცა, ორივე გუნდის თამაშის კლასი აშკარად არ შესაბამებოდა მატჩის რანგს: ხშირი იყო შეცდომები, მეტიც, ზენიტელებმა თავიანთ შესაძლებლობებთან შედარებით სუსტად ჩაატარეს მატჩი.

თამაშის ძირითადი დრო უშედეგოდ ამოიწურა — 0:0. დამატებით დროში, 97-ე წუთზე, დინამოელთა ერთ-ერთი შეცდომა გოლით დაამთავრა გაზაევმა, შემდეგ კი, უკვე მეოთხე ტაიმში, ბოროდიუკმა კიდევ ერთხელ აიძულა ლენინგრადელთა მეკარე ბირიუკოვი ბადიდან გამოეტანა ბურთი — 2:0.

მოსკოვის „დინამომ“, რომელიც საკავშირო ჩემპიონატის გათამაშების ცხრილში ბოლო, მე-18 ადგილზეა, თავისი არსებობის მანძილზე მეექვსედ მოიპოვა საპატიო პრიზი.

* * *

გათამაშების ცხრილი

უმაღლესი ლიგა

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 26 ივნისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დნეპრი“	15	9	3	3	25-16	21
„სპარტაკი“	15	8	5	2	22-13	21
„ზენიტი“	14	6	5	3	22-12	17
„ტორპედო“	15	6	5	4	12-11	17
„დინამო“ კ.	15	5	7	3	18-13	17
ასკ რ.	14	6	4	4	22-14	16
„მეტალისტი“	15	6	4	5	18-16	16
„დინამო“ თბ.	14	6	4	4	14-12	16
„ჩერნომორ.“	15	5	6	4	16-16	16
„შახტიორი“	15	5	5	5	25-21	15
„დინამო“ მნ.	15	4	7	4	19-19	15
ცსკა	15	4	6	5	13-16	14
„ქაირათი“	15	4	5	6	18-24	13
„ჟალგირისი“	15	2	8	5	9-21	12
„არარატი“	15	4	3	8	17-19	11
„ფახთაქორი“	15	4	3	8	15-19	11
„ნეფთჩი“	15	3	3	9	11-27	9
„დინამო“ მ.	14	2	5	7	12-19	9

საქართველოს პირველობა

23 და 24 ივნისს გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის XVI ტურის კალენდარული შეხვედრები. **აღმოსავლეთი ზონა:** „მეტალურგი“ (რუსთავი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 3:1, „კახეთი“ (თელავი) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 4:1, „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) 4:1, „თორი“ (ბორჯომი) — „არმაზი“ (მცხეთა) 2:3, „შევარდენი“ (თბილისი) — „სამგორი“ (გარდაბანი) 4:0, „ავტომობილისტი“ (თბილისი) — „იმედი“ (თბილისი) 2:1, „ივერია“ (ხაშური) — „მადნეული“ (ბოლნისი) 0:0, „დურუჯი“ (ყვარელი) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 2:1, „არმაზი“ (მცხეთა) — „შევარდენი“ (თბილისი) 1:1.

დასავლეთი ზონა. „გიგანტი“ (ლაითური) — „საირმე“ (მაიაკოვსკი) 3:0, „შადრევანი“ (წყალტუბო) — „კოლხეთი“ (ხობი) 3:1, „სულორი“ (ვანი) — „ბახმარო“ (ჩოხატაური) 6:2, „დინამო“ (ზუგდიდი) — „მალაროელი“ (ჭიათურა) 1:1, „საპოვნელა“ (თერჯოლა) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 2:1, „მზიური“ (გალი) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 2:0, „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — „სქური“ (წალენჯიხა) 2:1, „ამირანი“ (ოჩამჩირე) — „იმერეთი“ (წულუკიძე) 4:0.

გათამაშების ცხრილები

I ჯგუფი — **მდგომარეობა 26 ივნისისთვის**

აღმოსავლეთი ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„მეტალურ.“	15	11	2	2	30-10	24
„შევარდ.“	14	10	2	2	29-7	22
„ავტომობ.“	15	10	2	3	29-14	22
„მადნეული“	15	8	5	2	22-14	21
„კახეთი“	15	9	2	4	21-10	20
„არმაზი“	15	6	7	2	29-19	19
„ჰერეთი“	15	6	6	3	23-13	18
„ივერია“	15	7	3	5	22-19	17
„არაგვი“	15	6	3	6	19-18	15
„სპარტაკი“	16	5	5	6	26-24	15
„დურუჯი“	15	5	4	6	11-17	14
„იმედი“	14	4	5	5	19-14	13
ფიზკ. ინს.	15	4	5	6	21-23	13
„ალაზანი“	15	4	1	10	15-34	9
„თორი“	15	1	4	10	12-31	6
„სამგორი“	15	1	1	13	6-46	3
პოლ. ინს.	15	0	3	12	14-35	3

დასავლეთი ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სულორი“	16	11	2	3	30-14	24
„შადრევანი“	16	8	6	2	34-20	22
„მზიური“	16	8	6	2	32-18	22
„დინამო“ ზ.	16	7	6	3	29-23	20
„მალაროელი“	16	6	8	2	19-12	20
„საპოვნელა“	16	8	2	6	30-22	18
„ამირანი“	16	7	3	6	25-18	17
„სამეგრელო“	16	7	3	6	22-20	17
„გიგანტი“	16	7	1	8	20-23	15
„მეტალურგი“	16	4	7	5	24-21	15
„დინამო“ გ.	15	6	2	7	25-28	14
„ბახმარო“	16	5	3	8	16-29	13
„ეგრისი“	16	4	4	8	18-25	12
„კოლხეთი“	16	4	4	8	22-30	12
„სქური“	16	4	4	8	15-24	12
„საირმე“	16	3	5	8	17-25	11
„სალხინო“	15	3	5	7	22-34	11
„იმერეთი“	16	3	5	8	16-29	11

გაიმარჯვეს დიდი ანგარიშით

მახარაძე. (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). დამთავრდა ჭაბუკ ფეხბურთელთა სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლების საკავშირო ნახევარფინალური ტურნირი.

როგორც ვიუწყებოდით, გათამაშების ბოლო დღეს ერთმანეთს შეხვდნენ პირველ-მეორე ადგილებზე გასული გუნდები — თბილისის „დინამო“ და ორჯონიკიძის „სპარტაკი“. თბილისელებმა საკმაოდ იოლად სძლიეს მეტოქეს—5:1. 2 ბურთი გაიტანა თედეევმა, თითო — პეტრიაშვილმა, ბესთაევმა და მეტრეველმა.

ბოლო ტურში კრასნოდარის „კუბანმა“ ანგარიშით 2:1 მოუგო ქუთაისის „ტორპედოს“, ბაქოს „ნეფთჩიმ“ — დუშანბეს „პამირს“ —4:1.

თბილისის დინამოელებმა (მწვრთნელები ნ. ამირეჯიბი, ბ. სიჭინავა, გ. გვანცელაძე) ქულათა მაქსიმუმით (10) პირველი ადგილი დაიკავეს ნახევარფინალურ ტურნირში (ბურთების სხვაობა 17-4) და ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს.

ფინალში: საფრანგეთი—ესპანეთი

დასასრულს მიუახლოვდა ევროპის VII ჩემპიონატი ფეხბურთში: 23 და 24 ივნისს მარსელსა და ლიონში გაიმართა ნახევარფინალური შეხვედრები, წინ გადამწყვეტი მატჩია — ფინალი!

ნახევარფინალები ტელევიზიით ვიხილეთ და თვალნათლივ დავრწმუნდით ევროპის ჩემპიონატის მონაწილე ეროვნული ნაკრები გუნდების მაღალ კლასში. პრესა ბევრს წერდა, რომ უდავო ფავორიტი საფრანგეთის ნაკრებია. რა თქმა უნდა, ასეც არის, მაგრამ ნახევარფინალურმა მატჩებმა ცხადყო, რომ ფრანგებს სიძლიერით არც სხვა პრეტენდენტები ჩამორჩებიან. თვით ის ფაქტი, რომ მასპინძლები უაღრესად მძიმე ბრძოლის შემდეგ აგებდნენ და მხოლოდ ძალის არნახული დაძაბვის შედეგად შეძლეს გამარჯვების მოპოვება, მეტად საყურადღებოა.

განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ ჩემპიონატის მონაწილე გუნდების უდიდესი თავგამოდება და ენერგია. თვით მათი ტაქტიკური ხელოვნება, ცალკეულ ფეხბურთელთა საშემსრულებლო ოსტატობა, უდავოდ, უმაღლეს დონეზე დგას, მაგრამ, გარდა ამისა, კიდევ მეტ ყურადღებას იპყრობს მოთამაშეთა ნებისყოფა, გამარჯვებისკენ სწრაფვა, საბრძოლო განწყობა.

პირველი ფავორიტი — საფრანგეთის ნაკრები და მისი საუკეთესო ფეხბურთელი მიშელ პლატინი საყოველთაო ყურადღებით არიან გარემოსილი. ზოგიერთი მიმომხილველი იმასაც აღნიშნავდა, ფრანგებს წინ ვერავინ დაუდგებაო, მაგრამ სწორედ ამ გუნდის მწვრთნელმა მ. იდალგომ განაცხადა პრესკონფერენციაზე: ის გუნდი, რომელიც აჰყვება გაუთავებელ ქებას და ნაადრევად დაიჯერებს თავის უძლეველობას, ხშირად მარცხისთვისაა განწირულიო. სწორედ ასე მოხდა პორტუგალიელებთან მისი გუნდის შეხვედრისას. მართალია, ფრანგებმა გაიმარჯვეს და მათი წარმატების კანონზომიერებაში ეჭვის შეტანაც არ შეიძლება, მაგრამ ისინი მაინც ბეწვზე ეკიდნენ 23 ივნისის მატჩში.

დასაწყისში ყველაფერი „გეგმით“ მიმდინარეობდა: ფრანგების ერთ-ერთი იერიში 24-ე წუთზე გოლით დაამთავრა მცველმა დომერგმა. თითქოს მეორე ტაიმშიც არაფერი შეცვლილა, როცა ფრანგები პლატინის მეთაურობით კვლავ უტევდნენ და მეკარე ბენტუს წუთითაც არ ჰქონია მოსვენება, მაგრამ სწორედ ამ მძიმე ვითარებაში შესანიშნავად ითამაშეს პორტუგალიელებმა და ერთ-ერთი იერიშის დროს ჟორდაომ აღადგინა თანაფარდობა — 1:1.

დაინიშნა დამატებითი დრო და აქ, 114-ე წუთზე, კვლავ გამოიჩინა თავი ჟორდაომ — 2:1. მატჩის დასასრულს სულ ექვსიოდე წუთი აკლდა, ფრანგები გენერალურ შეტევაზე გადავიდნენ, ისინი თამაშობდნენ ტემპერამენტიანად, აზარტით, მაღალტექნიკურად და პორტუგალიელებმა ამ მცირე დროში 6 წუთში ვერ გაუძლეს მეტოქის მაღალ ტემპს, მის არნახულ შტურმს. პორტუგალიელთა საჯარიმო მოედანზე შექმნილი ერთ-ერთი სახიფათო მომენტის დროს კვლავ ზუსტად ითამაშა დომერგმა — 2:2, მერე კი, როცა საფინალო სასტვენს წუთი აკლდა, მიშელ პლატინიმ გადამწყვეტი ბურთი გაიტანა მეტოქის კარში. 3:2 — გაიმარჯვა საფრანგეთის ნაკრებმა.

არანაკლებ დაძაბული და მწვავე იყო მატჩი ლიონში ესპანეთისა და დანიის გუნდებს შორის. მართალია, ნერვიულობის გამო ორივე გუნდის ფეხბურთელები ხშირად არღვევდნენ წესს, მაგრამ თვით მატჩის სანახაობითი მხარე, უდავოდ, წინა ნახევარფინალზე ნაკლები არ იყო.

დანიელებს პირველ ტაიმში მცირე უპირატესობა ჰქონდათ, ერთ-ერთი მრავალსვლიანი კომბინაციის შემდეგ ლარსენმა თავით დაარტყა კარში, ესპანელთა მეკარე არკონადამ მოიგერია დარტყმა, მაგრამ ლერბიმ ყველაზე ადრე მიუსწრო მას — 1:0.

შესვენების შემდეგ მეტს უტევდნენ ესპანელები. მათი აქტიურობა საპასუხო გოლით დამთავრდა (მასედა) და 90-წუთიანი ბრძოლის შემდეგ ანგარიში ფრე იყო — 1:1.

დაინიშნა დამატებითი დრო, გოლი არც ერთ მხარეს არ გასულა — 1:1. საქმე მიდგა დამატებით პენალტებზე. პირველი 4-4 დარტყმა ორივე გუნდის ფეხბურთელებმა უშეცდომოდ შეასრულეს. შემდეგი, მეხუთე დარტყმა დანიელებმა მიანდვეს თავიანთ ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელს ლარსენს, მან კი კარს ააცდინა ბურთი, ხოლო ესპანელებმა ბოლო ცდაც წარმატებით გამოიყენეს. დამატებითი პენალტებით (5:4, მთლიანად მატჩი — 6:5) გაიმარჯვეს ესპანელებმა.

27 ივნისს ფინალია: საფრანგეთი — ესპანეთი.

გამოჩნდა საიმედო ცვლა

სოხუმელებს დიდხანს ემახსოვრებათ ამას წინათ მედიცინის მუშაკთა სახლში გამართული 30 მოჭადრაკე ქალის პაექრობა საქართველოს ჩემპიონის ტიტულისა და სსრ კავშირის ქალთა ჩემპიონატის ნახევარფინალის ოთხი საგზურისთვის. ბრძოლაში ჩაბმული იყო თითქმის ყველა ჩვენი უძლიერესი ოსტატი და ოსტატობის კანდიდატი. ტურნირს სიმწვავე იმანაც შემატა, რომ იგი შვეიცარული სისტემით, 9 ტურად ტარდებოდა. აქ კი, როგორც წესი, ყოველ ტურში ლიდერები ხვდებიან ერთმანეთს.

ფავორიტებმა წარმატებით აიღეს სტარტი. III ტურიდან ორნი — ნინო მელაშვილი და ქეთევან კახიანი დაწინაურდნენ. ამ დღეს პირველმა დაამარცხა საქართველოს ჩემპიონი არახამია, მეორემ — ქეთევან მელაშვილი. IV ტურში დაწინაურებულთა შეხვედრაში გაიმარჯვა ნინო მედაშვილმა და ერთპიროვნული ლიდერი გახდა. VII ტურში ზეინაბ ხვედელიძესთან წაგების შემდეგ მას არახამიამ გაუსწრო. არახამიამ კი ლიდერობა აღარავის დაუთმო. დასკვნითს ორ ტურში დაამარცხა ციალა ქასოშვილი, დაუზავდა ეკატერინა ფახიროვას და მეორედ მოიპოვა რესპუბლიკის ჩემპიონის სახელი (არახამიას შესახებ იხ. „ლელოს“ 14 ივნისის ნომერი).

აი, საბოლოო შედეგები: I. ოსტატი ქეთევან არახამია — 7,5, II-III. ოსტატი ნინო მელაშვილი, ოსტატი ციცინო კახაბრიშვილი — 6,5-6,5, IV-V. ზეინაბ ხვედელიძე (სამტრედია), ეკატერინა ფახიროვა (ქუთაისი) — 6-6. შემდეგ მოდიან: ივეტა კურცხალია, ოსტატი თამილა მესხი (ქუთაისი), ოსტატი ციალა ქასოშვილი (გორი), ოსტატი ქეთევან მელაშვილი, ქეთევან კახიანი (გარდაბანი), სოფიკო ტერელაძე (სამტრედია) — 5,5-5,5, გიული ალიხანაშვილი, ჰენრიეტა ლაგვილავა (ქუთაისი) — 5-5, ლელა თანდაშვილი, საერთაშორისო ოსტატი ალა ჩაიკოვსკაია, ლია სადუნიშვილი, თინა ფანიაშვილი (რუსთავი) — 4,5-4,5, თამთა იაშვილი (სოხუმი), ნინო ხარლამიდი (ქუთაისი), ნანა ლეჟავა (სამტრედია), ნინო ფილია, სანათა მიშველაძე (სოხუმი) — 4-4, ნათია წკეპლაძე—3,5, სოფიკო ნიკოლაძე, ნანა გაბატაძე (სამივე — ქუთაისი), ოსტატი ციური კობაიძე, ნანა გელაშვილი — 3-3, თეა იაშვილი (სოხუმი), თამარ თვალავაძე, ეკა მიქაძე (ორივე — სამტრედია) — 2-2.

ამ მონაცემებიდან, რომ არაფერი ვთქვათ შემოქმედებაზე, თვალნათლივ ჩანს ახალგაზრდა მოჭადრაკეთა წინსვლა. პირველ ყოვლისა ქებას იმსახურებენ ზეინაბ ხვედელიძე, ქეთევან კახიანი და სოფიკო ტერელაძე. გოგონები შესამჩნევად გაძლიერდნენ. მეტს ველოდით ჰენრიეტა ლაგვილავასგან, ნათია წკეპლაძისა და ნინო ფილიასგან. მაგრამ მათ გულდასაწყვეტი არაფერი აქვთ, რადგან სტაბილური შედეგები გამოცდილებასთან ერთად მოდის. ზოგიერთმა მოჭადრაკემ (სოფიკო ნიკოლაძე, ნინო ხარლამიდი, დები იაშვილები) დიდი გამოცდილება შეიძინა, რაც სამომავლოდ უსათუოდ გამოადგებათ.

ჩემპიონატმა ცხადყო: ჩვენს ქალთა ჭადრაკს საიმედო და პერსპექტიული ცვლა ეზრდება. ახლა ამოცანა ისაა, რომ არ შენელდეს მათთან მუშაობა-მეცადინეობა.

თენგიზ გიორგაძე.

* * *

ბარიბარს

იუგოსლავიის ქალაქ ბელა ცერკვაში გრძელდება საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 192 მოჭადრაკე მონაწილეობს. გაიმართა კიდევ ოთხი (VI-IX) ტურის შეხვედრები.

ლიდერთა ჯგუფს კვლავ თავკაცობს დიდოსტატი ბოიან კურაიტა (იუგოსლავია) — 8 ქულა. ნონა გაფრინდაშვილმა ნადავლს მხოლოდ ორი ქულა შემატა (ორი პარტია მოიგო, ამდენივე წააგო) და ახლა მას 6 ქულა აქვს.

შეჯიბრების დამთავრებამდე ოთხი ტური დარჩა.

თავი გამოიჩინეს

თბილისში, ბავშვთა და მოზარდთა კალათბურთის სპეციალიზებული სპორტსკოლის დარბაზში გაიმართა 1970-71 წლებში დაბადებულ ვაჟ ხელბურთელთა საკავშირო პირველობის ნახევარფინალური შეხვედრები. შეჯიბრებაში შვიდი გუნდი მონაწილეობდა. წარმატებით იასპარეზა საქართველოს ნაკრებმა, რომელსაც ახალგაზრდა მწვრთნელი რევაზ ჭანტურია ავარჯიშებს. ჩვენმა ბიჭებმა დაამარცხეს აზერბაიჯანის (ანგარიშით 31:23), რსფსრ-ს (29:22), სომხეთის (41:25), მოლდავეთის (25:21), უკრაინის (25:22) გუნდები და ფინალურ ტურნირში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს.

ნორჩი სპორტსმენები ერთმანეთს შეეჯიბრნენ ბურთის ფლობის ტექნიკაშიც, საერთო ფიზიკურ მომზადებაში, ხელბურთის წესების ცოდნაში. საქართველოს წარმომადგენლებმა ამ თავისებურ კონკურსშიც გამოიჩინეს თავი. ახლა ისინი ფინალური ტურნირისათვის ემზადებიან. გადამწყვეტი შეხვედრები 15-22 აგვისტოს ტირასპოლში გაიმართება.

* * *

საუკეთესო სპორტსკოლები და მწვრთნელები

როგორც ცნობილია, სსრ კავშირის სპორტკომიტეტი ატარებს სასწავლო-საწვრთნელი და აღმზრდელობითი მუშაობის საკავშირო დათვალიერება-კონკურსს სპორტთამაშობათა სპორტულ სკოლებს შორის. დამთავრდა ამ თავისებური ასპარეზობის მეორე ეტაპი, რომელმაც გამარჯვება მოუტანა კიევის (ბავშვთა და მოზარდთა №2 სპეციალიზებული რესპუბლიკური სპორტული სკოლა), ზაპოროჟიეს (ბავშვთა და მოზარდთა №3 სპეციალიზებული რესპუბლიკური სპორტული სკოლა), კრასნოდარის, თბილისის, კიშინიოვის, ვილნიუსის („ნიამუნასი“), ტაშკენტის („ეშ-კუჩი“), ბაქოს ნიზამის რაიონის, ხერსონის (ბავშვთა და მოზარდთა №5 სპეციალიზებული სპორტული სკოლა), ვოლგოგრადის ხელბურთის სპორტულ სკოლებს.

ნორჩ ხელბურთელთა საუკეთესო მწვრთნელებად აღიარეს: რ. ჭანტურია (თბილისი), ვ. კოვალიოვი (კიევი), ლ. აკოფიანი (ვოლგოგრადი), ი. ბიხოვსკი, ვ. ვორონოვი (ორივე — ზაპოროჟიე), ა. ტარასკიავიჩუსი (ვილნიუსი), ტ. ტოროპცევა (ხერსონი), ლ. ბიდიაკი (კიშინიოვი), ვ. არაქელოვი (თბილისი), ვ. კოპეიკინი (მოსკოვი).

ინფორმაცია

საბჭოთა გუნდის წარმატება

საბჭოთა კავშირის კალათბურთელ ქალთა ნაკრებმა პეკინში პირველი ამხანაგური მატჩი მოუგო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნულ გუნდს ანგარიშით 82:63 (50:23). საბჭოთა სპორტსმენებმა ასევე წარმატებით ჩაატარეს მეორე შეხვედრა ჩინეთის ჩემპიონ „ბაისთან“ — 91:57 (47:28).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეპოქალური ცვლილებები

სამოყვარულო კალათბურთის მსოფლიო ფედერაციას (ფიბა) თავისი ორმოცდაათწლიანი ისტორიის მანძილზე მრავალი ცვლილება შეუტანია თამაშის წესებში. ყოველ ახალ ოლიმპიურ ციკლს ფიბა, როგორც წესი, იწყებს ახალი წესებით, რაც სამ ძირითად მიზანს ისახავს: თამაში უფრო დინამიკური გახდეს, მოისპოს უხეშობა და მინიმუმამდე შემცირდეს ტანმაღალ მოთამაშეთა უპირატესობა.

ამა წლის ოქტომბრიდან ძალაში შედის ფიბა-ს ახალი წესები, რომელთაც, ჩემი აზრით, ეპოქალური მნიშვნელობა ექნება.

მთავარი ცვლილებაა ე. წ. „სამქულიანი ხაზის" შემოღება. წარმოიდგინეთ, რომ კალათის შუა წერტილიდან მოედანზე დაშვებულია პერპენდიკულარი. ამ წერტილიდან გავლებულია 6,25 მ. რადიუსის ნახევარი წრეხაზი. თუ მოთამაშე „სამქულიანი ხაზის" გარედან ტყორცნის და ბურთს კალათში ათავსებს, გუნდს ეწერება სამი ქულა.

მოედნის ზომები გაიზრდება და 28X15 მეტრს მიაღწევს. ჭერის სიმაღლე, ახალი წესების თანახმად, 7,5 მეტრი უნდა იყოს, მანძილი მოედნის შემომსაზღვრელ ხაზებსა და უახლოეს საგნებს შორის — არანაკლებ 2 მეტრისა.

საჯარიმო მოედანი მხოლოდ ერთ მოდიფიკაციას განიცდის: პირველ და მეორე ადგილებს შორის, რომლებზეც მოთამაშეები დგებიან საჯარიმო სროლის დროს, კეთდება ოცაათსანტიმეტრიანი ნეიტრალური ზონა.

ფიბა-ს ტექნიკურმა კომისიამ ჯერ კიდევ ორი წლის წინათ ახალი წესების პირველი პროექტი შეიმუშავა და ყველა ეროვნულ ფედერაციას გაუგზავნა განსახილველად. ფედერაციების უმრავლესობამ უკმაყოფილება გამოთქვა მოედნის ზომების გაზრდის გამო, მათი აზრით, უკვე მოქმედი დარბაზები აგებულია ძველი ზომებით და მოედნის გაზრდა შეუძლებელი იქნება. ფიბა-მ განმარტა, რომ ახალი ზომები სავალდებულოა მხოლოდ საერთაშორისო ფედერაციის მთავარი შეჯიბრებებისათვის (ოლიმპიური თამაშები, ქალთა, ვაჟთა, გოგონათა და იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატები). რაც შეეხება უფრო დაბალი რანგის ტურნირებს, შეიძლება მცირე ზომის მოედნების გამოყენებაც, ოღონდ სიგრძე უნდა იყოს არანაკლებ 24, სიგანე კი 13 მეტრისა. ამასთან, ფიბა კატეგორიულად მოითხოვს ყველა ეროვნული ფედერაციისაგან, რომ ახალი დარბაზები აშენდეს მოედნის ახალი ზომების გათვალისწინებით.



საინტერესო ცვლილებაა შეტანილი 30 წამის წესშიც. აქ ნათქვამია: „თუ ოცდაათწამიან პერიოდში ბურთი ტოვებს მოედნის ფარგლებს (გადის აუტში) და იგი თამაშში უნდა შეიყვანოს იმ გუნდმა, რომელიც მანამდე ფლობდა ბურთს, ახალი ოცდაათწამიანი პერიოდის ათვლა აღარ მოხდება. ბურთის თამაშში შეყვანის შემდეგ ოცდაათი წამის ოპერატორმა წამზომი უნდა ჩართოს იმ წერტილიდან, სადაც იგი გაჩერდა. გუნდს ტყორცნის შესასრულებლად ეძლევა დარჩენილი დრო".

თუ ბურთიანი მოთამაშე მჭიდროდ „აიყვანა" მცველმა და ხუთი წამის განმავლობაში მან გადაცემა ვერ გააკეთა, ვერ ტყორცნა, ან დრიბლინგი ვერ დაიწყო, ბურთი გვერდით ხაზიდან შემოსატანად ეძლევა მოწინააღმდეგეს (ძველი წესებით, ასეთ დროს ინიშნებოდა სადავო გდება).

კალათბურთის წესების 61-ე პარაგრაფში ნათქვამი იყო: „მოთამაშეს, რომელიც თავდასხმის ზონაშია, არ შეუძლია ბურთი გადმოიტანოს დაცვის ზონაში" (ზონის წესის დარღვევა). ახალ წესებში ამ წინადადებას ორი სიტყვა ემატება, მაგრამ აზრი მნიშვნელოვნად იცვლება: „მოთამაშეს, რომელიც თავდასხმის ზონაშია და ბურთს ფლობს, არ შეუძლია გადმოიტანოს იგი დაცვის ზონაში". რათა ამ ორ წინადადებას შორის განსხვავება გასაგები იყოს, მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს: ა) მოწინააღმდეგის ფარიდან ასხლეტილ ბურთს თავდამსხმელი ხელის შეხებით აბრუნებს თავის დაცვის ზონაში და აქ მას ეუფლება მისი პარტნიორი; ბ) თავდამსხმელი, რომელიც მოწინააღმდეგის ფართან დანიშნული სადავო ბურთისთვის ხტება, ბურთს აბრუნებს თავის დაცვის ზონაში და მას ეუფლება პარტნიორი; გ) მცველი ასრულებს გრძელ გადაცემას დაცვის ზონიდან სწრაფი შეტევის მიზნით. მას ხელს უშლის თავდასხმის მოთამაშე, რომელსაც ხელზე ეხება ბურთი და დაცვის ზონაში მას ეუფლება პარტნიორი; ძველი წესებით, სამივე შემთხვევაში აღინიშნებოდა ზონის წესის დარღვევა. ახალი წესებით, მსაჯები შეცდომას აღარ აღნიშნავენ, რადგან სამივე შემთხვევაში თავდამსხმელი ბურთს არ ფლობდა.

ამიერიდან მწვრთნელის ტექნიკური დანაშაულისათვის სასჯელი იქნება ორი საჯარიმო სროლა და ბურთის ფლობა.

თუ კალათბურთელი სროლის პროცესში სამქულიანი ხაზის გარეთაა და მოწინააღმდეგე მასთან ბრძოლაში ჯარიმდება, ბურთი კი მაინც ჩავარდება კალათში, გუნდს ეწერება სამი ქულა, მსროლელს კი ერთი საჯარიმო სროლის უფლება ეძლევა. მაგრამ, თუ ბურთი კალათში არ ჩავარდა, დაზარალებული სამ საჯარიმო ტყორცნას ასრულებს („სამი აკეთებს სამს").

თუ კალათბურთელი სროლის პროცესში სამქულიანი ხაზის შიგნითაა და მოწინააღმდეგე მასთან ბრძოლაში ჯარიმდება, კალათში ჩაგდებული ბურთისთვის გუნდს ეწერება ორი ქულა და მოთამაშეს ერთი საჯარიმო სროლის უფლება ეძლევა. თუ ბურთი კალათში არ ჩავარდა, ინიშნება ორი საჯარიმო სროლა („ორი აკეთებს ორს").

გუნდური ჯარიმების რიცხვი რვიდან შვიდამდე შემცირდა. „თუ გუნდი შეხვედრის რომელიმე ნახევარში შვიდ გუნდურ ჯარიმას აგროვებს (დამატებითი დრო ითვლება მეორე ნახევრის გაგრძელებად), ყოველი შემდეგი ჯარიმისათვის ინიშნება საჯარიმო სროლა". აქ კი წესებში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ცვლილებაა შეტანილი, რომელსაც ჰქვია „ერთი და ერთი საჯარიმო სროლის წესი". ამ წესის თანახმად, „...მოთამაშეს ეძლევა ერთი საჯარიმო სროლის უფლება. თუ მან ბურთი კალათში ჩააგდო, ეძლევა მეორე საჯარიმო სროლის უფლება; თუ არა, თამაში გრძელდება პირველი საჯარიმო სროლის შემდეგ".

არის სხვა ცვლილებებიც, რომლებიც ძირითადად მეთოდური ხასიათისაა და ფართო მკითხველისათვის საინტერესო არ იქნება.

გოგი ავალიშვილი,
საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი.

რეკორდები: საკავშირო და მსოფლიო

დასასრული

რაისა სადრეტინოვას ეკუთვნოდა. აღსანიშნავია, რომ ძველ რეკორდს მეორე ადგილზე გასულმა გალინა ზახაროვამაც გადააჭარბა (31.15,0).

სიმაღლეზე ხტომაში გამარჯვებულმა ლენინგრადელმა ვალერი სერედამ 234 სმ-ის დაძლევის შემდეგ მსოფლიო რეკორდს, 240 სანტიმეტრსაც შეუტია, მაგრამ უშედეგოდ.

იშვიათი შემთხვევა მოხდა უროსმტყორცნელთა ასპარეზობისას. ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა იური სედიხმა და მსოფლიო რეკორდსმენმა სერგეი ლიტვინოვმა ერთნაირი შედეგი 82,92მ აჩვენეს, რაც წლევანდელ სპორტულ სეზონში მსოფლიოში საუკეთესოა.

მძლეოსნობის ისტორიაში მეორე შედეგი აჩვენა ირკუტსკელმა კონსტანტინ ვოლკოვმა ჭოკით ხტომაში — 585 სმ. შესანიშნავად იასპარეზა სამხტომელმა ოლეგ პროცენკომ (17,52 მ) და 1500 მეტრზე მორბენალმა ანატოლი კალუცკიმ (3.36,36).

საკავშირო რეკორდი დაამყარა ბარნაულელმა ეკატერინა შუბენკოვამ (6799), რომელიც შვიდჭიდში გამოდიოდა. საბჭოთა სპორტსმენებიდან 49 წამის ზღვარი პირველად გადალახა ვოროშილოველმა ოლგა ვლადიკინამ, რომელმაც 400-მეტრიანი დისტანცია 49,98-ში გაირბინა.

მემორიალი დამთავრდა

ლიტვის დედაქალაქ ვილნიუსში დამთავრდა ვლადიმერ სავინის ტრადიციული საერთაშორისო მემორიალი ფრენბურთში. კუბის ნაკრებმა ბოლო მატჩი მოუგო საბჭოთა კავშირის მეორე გუნდს ანგარიშით 3:1 (15:7, 14:16, 15:8, 15:9) და პირველად დაისაკუთრა მემორიალის მთავარი პრიზი. ეს გუნდი ერთადერთი შეჯიბრების მონაწილეებში, რომელსაც არც ერთი შეხვედრა არ წაუგია.

წინა ექვსივე მემორიალი საბჭოთა ნაკრების გამარჯვებით დამთავრდა.

სპეციალისტებმა ტურნირის საუკეთესო მოთამაშეებად დაასახელეს კუბელი ფრენბურთელები რაულ ვილჩისი და კარლოს რუიზი.

გაგაცნობთ დანარჩენ შეხვედრათა შედეგებს: სსრ კავშირი I — იაპონია 3:1 (13:15, 16:14, 15:9, 15:12), პოლონეთი — ჩეხოსლოვაკია 3:1 (12:15, 15:12, 15:12 18:16), კანადა — ფინეთი 3:0 (15:6, 15:13, 15:11).

საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. კუბა, 2. სსრ კავშირი-I, 3. სსრ კავშირი-II.

თბილისის მცხოვრებთა დიდი ინტერესი გამოიწვია მონადირე ძაღლების 44-ე რესპუბლიკურმა გამოფენამ, რომელიც საქართველოს მონადირეთა კავშირმა მოაწყო 9-10 ივნისს. სტალინის სახელობის სახაპორო ტერიტორიაზე ჩატარდა პირადა-გუნდური პირველობა, რომლის სარბიელზეც 13 სხვადასხვა ჯიშის 200 ძაღლი გამოიყვანეს. ასპარეზობაში უკონკურსოდ ჩაებნენ სომხეთის წარმომადგენლები.

გარდა ქართველი ექსპერტებისა, საუკეთესო ძაღლების შერჩევაში მონაწილეობდნენ მოსკოვიდან და სხვა ქალაქებიდან მოწვეული სპეციალისტები. გამარჯვების ბედს სწყვეტდა კომპლექსური ჩათვლა — ექსტერიერი და საველე შეჯიბრების შედეგები.

ინგლისური სეტერების შეჯიბრებაში ხვადებს შორის ჩემპიონობა ხვდა „ჯეკს" (პატრონი ა. ამირიანი), ხოლო ძუ ძაღლებში — „ცირას" (ა. კაჭარავა). ორივე აფხაზეთიდან ჩამოიყვანეს.

კონკურსში გამარჯვებულნი

პოინტერებში საუკეთესოდ აღიარეს „კაპური" (პ. სარქისოვი) და „ლედი" (ა. კრავჩენკო. ორივე — თბილისი).

ირლანდიურ სეტერებში გაიმარჯვეს „ჯემმა" (ა. დრიაევი) და „ჯოლდიმ" (ვ. კვანტალიანი), ხოლო შოტლანდიურ სეტერებში ყველას აჯობა „დიკმა" (ვ. ტრეტიაკოვი. ყველა — აჭარის ასსრ).

კურცჰაარის ჯიშის ძაღლებში პირველობა მოიპოვეს „ჯენის" (ვ. მაქელაძე. აფხაზეთი), ხოლო დრატჰაარებში — „ბარონსა" (ზ. კვაჰაძე) და „ლედის" (ზ. ხუჯუა. ორივე — აჭარა).

სპანიელებში პირველნი იყვნენ „ბლეკი" (აჭარა. ო. გვინჩიძე) და „ბაუტი" (ვ. გრიგორიანი).

მედევართა შორის საუკეთესო აღმოჩნდა „თარეში" (გ. ცხვედიანი. თბილისი), ფოქსტერიერებში — „ალმა" (გ. დომბროვსკაია), მწევრებში კი ტოლი არ ჰყავდა „ორბს" (ო. წულუკიძე), რომელმაც, ცხადია, პირველი ადგილი დაიკავა.

გუნდურ შეჯიბრებაში ქალაქებს შორის I ადგილზე გავიდა თბილისი. რაიონებში გაიმარჯვა ჩოხატაურმა, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებში პირველობა აჭარის გუნდს ხვდა.

გამოფენისა და საველე ასპარეზობის შედეგების მიხედვით დაკომპლექტდა საქართველოს გუნდი. იგი მონაწილეობას მიიღებს მოსკოვის საოლქო გამოფენასა და II საკავშირო საველე შეჯიბრებაში, რომელიც ქალაქ გომელში გაიმართება.

თემურ ისლამოვი,
საქართველოს სსრ სახალხო მონადირე.

* * *

სურათზე: ინგლისურ სეტერებში გამარჯვებული „ცირა" ([illegible]).

ს. ჭანტურიას ფოტო.

ინფორმაცია

ვენის ფიცარნაგზე

ავსტრიის დედაქალაქში დამთავრდა საერთაშორისო ასპარეზობა მხატვრულ ტანვარჯიშში. 115,70 ქულით გამარჯვება მოიპოვეს საბჭოთა სპორტსმენებმა. II ადგილი დაიკავეს ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლებმა, III — გფრ-ის გუნდმა. შეჯიბრებაში, დასახელებულთა გარდა, მონაწილეობდნენ პოლონეთის, ავსტრიის, უნგრეთის, შვეციისა და დანიის სპორტსმენები.

ტრადიციული მატჩის რეკორდები

ესტონეთის დედაქალაქ ტალინში მასპინძელთა გამარჯვებით დამთავრდა სსრ კავშირისა და გდრ-ის იუნიორ მძლეოსანთა გუნდების XII მატჩი. საბჭოთა გოგონებმა შეხვედრა მოიგეს ანგარიშით 86:82 ვაჟებმა — 135:99.

მატჩის მსვლელობისას დამყარდა ამ ტრადიციული ასპარეზობის ბევრი რეკორდი. კერძოდ, გორკელმა სერგეი პოდუზდოვმა 100 მეტრზე 10,56 აჩვენა, სიმაღლეზე ხტომის სექტორში მცდელობა ერთი სანტიმეტრით გაუმჯობესდა — 2 მ. 23 სმ. ეს შედეგი მოიპოვა ვოროშილოვგრადელმა იური სერგიენკომ.

პირველობდნენ მასპინძლები

ააჩენში დამთავრდა ცხენოსანთა საერთაშორისო ასპარეზობა, რომელშიც მონაწილეობდა 24 ქვეყნის 180 მხედარი, მათ შორის ამ სახეობის მდიდარი ტრადიციებით განთქმული ქვეყნების — გფრ-ის, იტალიის, ინგლისის, საფრანგეთის, ავსტრიის, კანადის, დანიისა და ჰოლანდიის წარმომადგენლები.

„დიდ პრიზზე" ცხენის გაწვრთნაში საბჭოთა ნაკრებს II ადგილი ხვდა. მან წინ გაუშვა მხოლოდ მასპინძელი ქვეყნის — გფრ-ის სპორტსმენები. საბჭოთა გუნდის შედეგია 4772 ქულა, დასავლეთგერმანელებისა — 5085. ჩვენი ქვეყნის სახელით გამოდიოდნენ იური კოვშოვი, ოლგა კლიმკო და ელენა პეტუშკოვა.

პირად ჩათვლაში კოვშოვი მეხუთე იყო (1333). პირველი ადგილი დაიკავა მსოფლიო ჩემპიონმა რაინერ კლიმკემ (გფრ) —1465.

რედაქტორი ა. გოგელია.

ტურიზმის მოყვარულებო!

რესპუბლიკის საკურორტო ზონის სამომხმარებლო კოოპერაციის საფაბრო ცენტრებსა და სპეციალურ სპორტულ მაღაზიებში იყიდება საუკეთესო ხარისხის კარვები 4-დან 15-ადგილიანამდე. ფასი — 300 მანეთამდე.

აქვე შეგიძლიათ შეიძინოთ სპორტტანსაცმელი, თერმოსები, ჰამაკი, საძილე ტომრები და სხვა სპორტულ-ტურისტული საქონელი.

ცეკავშირის გამგეობა „საქკოოპრეკლამა"

ვისაც სურს შეიძინოს სპორტული და ტურისტული საქონელი

ვურჩევთ ეწვიონ კოოპერაციულ ბაზრობას — მუხრანსა და ციხისძირს შორის, საავტომობილო ტრასაზე, მცხეთის რაიონში.

ბაზრობაზე შეგიძლიათ შეიძინოთ სპორტული ტანსაცმელი, სპორტული ფეხსაცმელი, საცურაო ტრუსები, ბურთები, ბადეები, ტურისტული კარავი, თერმოსები, ჰამაკები, სხვა მრავალი სპორტული ინვენტარი და აღჭურვილობა.

ბაზრობა ეწყობა ყოველ შაბათკვირას, დილიდან.

ცეკავშირის გამგეობა „საქკოოპრეკლამა"

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო" ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97 53; ჭადრაკის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით სა
ИНДЕКС 66435
გაზეთი კორპუსში. ხოზარაულის. 2ბ. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
უე — 09816